

ანგარიშგება - კომუნიკაცია პროგრესის შესახებ (COP) – პოლიტიკის დოკუმენტი

მოქმედი 2023 წლიდან



United Nations
Global Compact

1. მიზნები

კომუნიკაცია პროგრესის შესახებ (CoP) არის სავალდებულო, საჯარო და ყოველწლიური ანგარიშგება გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილე ბიზნესების მიერ და მოიცავს შემდეგ მიზნებს:

- ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებას კორპორაციული მდგრადობის შესრულებასთან დაკავშირებით;
- უწყვეტი სწავლის წახალისება და კორპორაციული მდგრადობის ხელშეწყობა;
- დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციაზე წვდომის მიცემა მონაწილეთა მიერ ათი პრინციპის შესრულებაზე და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში შეტანილი წვლილის შესახებ.

2. რას გულისხმობს COP?

კომუნიკაცია პროგრესის შესახებ მოიცავს შემდეგს:

ა) აღმასრულებელი დირექტორის განცხადება, სადაც გამოთქმულია გაეროს გლობალური შეთანხმების მხარდაჭერა, და მონაწილის მიერ ინიციატივის და მისი პრინციპების მიღწევის მიმართ მიმდინარე ძალისხმევა. აღმასრულებელი დირექტორის განცხადების წარდგენისთვის, მონაწილეები მიიღებენ წვდომას ციფრული ხელმოწერის სისტემაზე (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ განაცხადების შევსების დეტალები, რომლებიც ხელმისაწვდომია გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე);

ბ) კითხვარი, რომელიც მოიცავს ათი პრინციპის და მდგრადი განვითარების მიღწევისთვის განხორციელებულ კორპორაციულ ქმედებებს. უნდა შეივსოს გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე. ყველა კითხვა არის სავალდებულო, გარდა იმ კითხვებისა, რომლებზე შესაბამისი მითითება არის კითხვარში.¹

თუ ინდივიდუალურ მონაწილეს მოეთხოვება კითხვარის ფარგლებში დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რაც განსაზღვრულია გაეროს გლობალური შეთანხმების ერთიანობის ზომების პოლიტიკით (Integrity Measures Policy), მაშინ ასეთი ინფორმაციის მიწოდება CoP ფარგლებში არის სავალდებულო.

[CoP კითხვებზე პასუხთან ერთად, მონაწილე კომპანიებს შეუძლიათ აქტიურად ანგარიში, მაგალითად მდგრადობის ანგარიში PDF ფორმატში, როგორც CoP დანართი, ან მიუთითონ იმ ვებგვერდის ბმული, სადაც ხელმისაწვდომია ანგარიში. PDF ფორმატში წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტი არ მიიღება კითხვარის სანაცვლოდ.]

თითოეული ბიზნეს მონაწილის აღმასრულებელი დირექტორის განცხადება და კითხვარში დაფიქსირებული პასუხები (ასევე, დანართები) გამოქვეყნდება გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე.

3. ვადები და შევსების წესი

- გაეროს გლობალური შეთანხმების ბიზნეს მონაწილეებმა უნდა შეავსონ CoP ყოველწლიურად, გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდის დახმარებით;

¹ რეკომენდებულია, რომ CoP-ში წარმოდგენილი მონაცემები დადასტურებული იყოს მესამე მხარის მიერ. თუმცა, აღნიშნული სავალდებულო არ არის CoP მიზნებისთვის.

- აღმასრულებელი დირექტორის განცხადება და შევსებული კითხვარის წარდგენა უნდა მოხდეს თითოეული კალენდარული წლის **1 მარტიდან 30 ივნისის შუალედში**. მონაწილეებს შეუძლია შევსებული CoP ჩააბარონ ოთხთვიანი პერიოდის ნებისმიერ დღეს;
- მონაწილეები, რომლებიც ყოველწლიურ CoP-ს ჩააბარებენ ზემოთ მითითებულ ვადებში ექნებათ „აქტიური“ სტატუსი (Active status), რაზეც შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე;
- [მხოლოდ ახალი წევრებისთვის:] ახალმა წევრებმა CoP უნდა წარმოადგინონ ჩაბარებისთვის განკუთვნილ ვადებში გაწევრიანების მომდევნო კალენდარულ წელს (მაგალითად, თუ კომპანია გაწევრიანდა 2024 წელს, მაშინ მან პირველი CoP უნდა ჩააბაროს 2025 წლის მარტი- ივნისის შუალედში);
- [მხოლოდ ახალი წევრებისთვის:] კომპანიები, რომლებიც ნებისმიერი წლის **მე-3 ან მე-4 კვარტალში (ივლისი-დეკემბერი)** შეუერთდება გაეროს გლობალურ შეთანხმებას, შეუძლიათ უარი თქვან პირველი CoP-ს საჯაროდ გამოქვეყნებაზე, ამისთვის მონაწილემ პროფილზე ანგარიში უნდა ატვირთოს 'პირად' რეჟიმში. ყველა ახალი წევრი ვალდებულია უპასუხოს კითხვარის ყველა კითხვას, და თუ მონაწილე სრულყოფილად არ ჩააბარებს CoP-ს მაშინ მას ექნება non-communicating სტატუსი, და შემდეგ მოხდება მათი ინიციატივიდან გარიცხვა;

თუ ახალი წევრი გადაწყვეტს, რომ პირველი CoP ანგარიში არ იყოს საჯარო, მაშინ შევსებული და ატვირთული CoP პასუხები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ გაეროს გლობალური შეთანხმების და ადგილობრივი ქსელის თანამშრომლებისთვის, და საჯაროდ არ გამოქვეყნდება გაეროს გლობალური შეთანხმების კომპანიის პროფილზე. გაეროს გლობალური შეთანხმება იტოვებს უფლებას გამოიყენოს CoP მონაცემები ანალიზისთვის კონკრეტულ კომპანიაზე მითითების გარეშე.

- [მხოლოდ ხელახლა გაწევრიანებული კომპანიებისთვის:] გაეროს გლობალური შეთანხმებიდან გარიცხულ კომპანიებს, რომლებსაც სურთ გაეროს გლობალურ შეთანხმებაში გაწევრიანება უნდა წარმოადგინონ CoP. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ გაეცნოთ გარიცხვისა და ხელახლა გაწევრიანების პოლიტიკებს;
- [ჩაბარებული CoP-ს შესწორება:] CoP-ის ოფიციალურად ჩაბარების შემდეგ, მონაწილეებს არ შეუძლიათ პასუხების შესწორება (ან დანართების). თუ მონაწილე დაფიქსირებულ პასუხებში აღმოაჩენს ცდომილებას, მაშინ კითხვარის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში უნდა დაუკავშირდეს გაეროს გლობალური შეთანხმების ოფისს და მოითხოვოს ცვლილების შეტანა. გაეროს გლობალური შეთანხმება იტოვებს უფლებას ცვლილებები შეიტანოს საჭიროების შესაბამისად.

4. კითხვარის არ შევსება

კომუნიკაციაზე უარის სტატუსი (non-communicating status)

- მონაწილე, გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე მოხვდება „კომუნიკაციაზე უარის“ ნუსხაში თუ ის არ წარმოადგენს CoP-ის კითხვარს და აღმასრულებელი დირექტორის განაცხადს სრულყოფილად (ყოველი წლის 1 მარტიდან 30 ივნისამდე). მონაწილეს აღუდგება „აქტიური“ სტატუსი მას შემდეგ, რაც

ის წარმოადგენს CoP-ის ყველა სავალდებულო ნაწილს ამავე კალენდარული წლის 31 დეკემბრამდე.

გაეროს გლობალური შეთანხმების ნუსხიდან ამოღება

- თუ მონაწილე, რომელსაც აქვს „კომუნიკაციაზე უარის“ სტატუსი ვერ წარმოადგენს CoP-ს ექვსი თვის ვადაში (ყოველი წლის 31 დეკემბრამდე), მაშინ მოხდება ასეთი მონაწილის გაეროს გლობალური შეთანხმების ნუსხიდან ამოღება.
- [მხოლოდ ხელახლა გაწევრიანებული კომპანიებისთვის:] ნუსხიდან ამოღებულ კომპანიებს, რომლებსაც სურვილი აქვთ განმეორებით შეუერთდნენ გაეროს გლობალურ შეთანხმებას, უნდა წარმოადგინონ CoP. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ ნუსხიდან ამოღების და ხელახლა გაწევრიანების წესები.
- ნუსხიდან ამოღებული მონაწილეების სახელები გამოქვეყნდება გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე.

ყველა ორგანიზაცია, რომელიც გარიცხული იქნება ვალდებულია წარმოადგინოს წევრობის აღდგენის განახლებული განაცხადი. პროცესთან და მოთხოვნებთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის იხილეთ ნუსხიდან ამოღების და ხელახლა გაწევრიანების წესები.

5. ფორმატი და ენა

- CoP კითხვარი ხელმისაწვდომია გაეროს ექვსივე ოფიციალურ ენაზე, ასევე დამატებით ენებზე, როგორც ეს გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე არის წარმოდგენილი.
- კითხვარის ყველა იმ ნაწილისთვის, სადაც საჭიროა ტექსტის შეყვანა, მონაწილეებმა უნდა გამოიყენონ იგივე ენა, რომელ ენაზეც არის კითხვარი.
- CoP დანართები, მაგალითად კომპანიის მდგრადობის ანგარიში, არის არჩევითი, და შეიძლება წარმოდგენილი იქნას ნებისმიერ ენაზე.
- გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე განთავსების შემდეგ, შესაძლებელია შევსებული CoP კითხვარის ჩამოტვირთვა.